

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 4 1 8

ქ. ბათუმი, 29 იანვარი 2018 წ

**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 14 დეკემბრის №2414 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 14 დეკემბრის №2414 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების 1.1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125<sup>3</sup> მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;“.

ბ) ბრძანების 1.3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

გ) ბრძანების 1.3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125<sup>3</sup> მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით და 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;“.

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 01 თებერვლიდან.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი